

გვერდი ავსანს

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დღის 9-2 საათამდის, და საღამოს 5-8 საათამდის, კვირა-უჩემ დღეების გარდა.

შაბათის რაღი

თვიურათ 1 მან
იონი თვით 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი 2 მან
მირველ გვერდზე პერიოდული ღირს 1 მან
უკანკედილ გვერდზე 2 მან
ქალაქ გარედასახლებულნი კარგადი ღირს 1 მან
სამფლივარო განცხადების დაწესება თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამოცხადებულისა, ნაშუადღევს 1 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

№ 178

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

№ 178

საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიული კავშირი გაუთავსოს თავისუფალ საქართველოს გამგულიშვილს!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა... მთელი იმერეთი და ამერეთი უნდა გაერთიანდეს და დამყაროს ის ეროვნული თვითმართებლობა, რომლის უფლებანი საქართველოს ეკუთვნის. 1783 წელს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ არის სოციალისტური პარტია, იგი მოითხოვს ყველა კლასთა შეთანხმებას და თანამშრომლობას, რათა ქართველებმა ერთად გაერთიანებული ძალით დაიკავონ თავი და მიადონ თავისუფლებას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს ყველა მესაკუთრეს უფლებას როგორც სოფელად, ისე ქალაქად, ვინაიდან მხოლოდ ყველა საკუთრების, ყველა თაოსნობის და ყველა შემოქმედების განმტკიცებით შეიძლება ქართველი ერის გაძლიერება, განათლება და გამრავლება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს თანაწილობას ქართველი რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს რათა საქართველოს ავტონომიურმა მთავრობამ გამოისყიდოს იძულებითი დიდი მამულები და გადასცეს იგი უმაჟლო მიწის მეშვეს, გლეხს სრულ საკუთრებად, ან წესით, რა წესსაც საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება დაადგენს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ქართულ მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და აღმშენებლობის ზრდა-განვითარებას.

მამულიშვილნი?
ვისაცა გვამო რომ მოლიანი თავისუფალი საქართველო ყერძო მესაკუთრე თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული.

მივით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საირჩევნო სიას № 8-ს.
მესაკუთრენო!

გახსოვდეთ, არც ერთი ხმა სოციალისტებს! მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს ინტერესებს, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე.

ნების განსაზოვადობრიობა შეასუსტებს პიროვნების შრომას, მეცარნობას და შემოქმედებას. ერი ვეღარ წარმოშობს იმდენს ღირებულებას და სიმდიდრეს, რამდენს წარმოშობა შეუძლიან მისი თუკი დასული იქნება თავისუფალ საქმიანობასა და ყველა საკუთრების უფლებას.

ყველა საკუთრების მოსპობა—მოსპობა ექნება პიროვნების თაოსნობისა, ეს იქნება პიროვნების ეკონომიური შემოქმედების ჩაქობა, ყველა ეს გამოიწვევს ერის ქონებრივად დაქვეითებას და სახოვადლოთ ცივლენაკის შეფერხებას და თანდათან იმ მდგომარეობამდე მივიყვანს, როდესაც აღიბანა არ იცოდა ყველა საკუთრება, როდესაც ყველანი ერთად სძენდნენ ტყეში საზრდოს, ერთად ხარჯავდნენ, ერთად იმშობდნენ, მაგრამ ერთმანეთის შემყურენი და მოიხდენი არასოდეს არ იყვნენ სარჩო-საზრდოთი უზარუნეგული ფილნი.

დარწმუნებულ ხალხთა მთელი ქონებრივი და უფლებრივი ურთიერთობა ყველა საკუთრების ნიადაგზე განმტკიცდა და ყველა საკუთრების უფლებას ემყარება.

ყოველ მთავარი უპირატესობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას № 8, არის საქართველო ერის ინტერესების ყველაზე უკეთეს დაცვა. აქცეს დასაბუთებული შემდგომად მე № 8 სიას, რომელიც აქვე მოგვცემა.

დაწინაურებულ ხალხთა მთელი შრომა და შემოქმედება ეროვნული მიწა-წყობით არის გამსჭვალული, ეროვნულ მიწებს ემსახურება ეროვნული სკოლა, მეცნიერება, ხელოვნება, ეროვნული ინტერნაციონალი, ხელმეწელობა სხვისობით იკრებს და იწირავს თანამედროვე ერთი ქონებრივსა და სულიერ ძილს.

შეგლოდ ერთი არ წარმოადგენდა ასე შეგვიძირებულ ერთეულს. არც ეროვნული ცხოვრება იყო ასე მდიდარი და მრავალფეროვანი. ხალხი წოდებრივად იყო დაყოფილი. ქონებრივი ძილა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა მტირე რიცხოვან ჯგუფის ხელში იყო. დანარჩენი ხალხი უწყო და ყოველსავე უფლებებს მოკლებულ მასის წარმოადგენდა. ამ წოდებათა შორის დიდი უფლებრივი და კულტურული განსხვავება სუფევდა, ამის გამო არ იყო გაერთიანებული ეროვნული ცხოვრება.

წოდებრივის უპირატესობის გაუქმებით და მთელი ხალხის უფლებრივად გათანასწორობით შეარდება ნამდვილი მოქალაქეობრივი ცხოვრება უფლებრივად გათანასწორობული ერი თავს იყოს პოლიტიკისა და კულტურულ ასპარეზზე. ეს ხელს უწყობს ერის სულიერად გაერთიანებას და შეგვიძირებას სადეც ასეთი მოქალაქეობრივი ურთიერთობა დიდი სნიდან დამყარებულა, იქ ეროვნული შეგველება და ეროვნული ცხოვრებას გამოიწვევს და განმტკიცებულა.

ეროვნება უნდაღესი საზოგადოებრივი არისა, საერთო უფლებრივი ურთიერთობა, ერთი წეს-წყველებით, აწყო და წარსული ცხოვრებით შესისხლბოცებული ერთეული.

სეთია მე № 8 სიას შემდგომად ეროვნული ამიკომ აქვს მის კიდელ სათანადო მიზნები დასახლები, რასაც მოითხოვს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე.

1. საქართველოს პოლიტიკური უფლებრივად უნდა იქმნენ ადგილები.

2. უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველზე აყვებულა.

3. საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია უნდა შედგარიან თბილისში შეკრებულმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა კრებამ.

4. ავტონომიის საქართველოს ცხოვრებას უნდა შეეძლოს თავისუფალი განვითარება.

ქალაქი საქართველოს მოსახლეობა უნდა

მიეცით ხმა საარჩევნო სიას № 8

რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის

1. კვლეა სპირდონ მალაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. გვაზავა გიორგი ბეგინის ძე—ნაფიცო ვეპილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცო ვეპილი.
5. ბეგანიძე სულეიმან ბეგი—მეურნე (აქარიდან).
6. წერეთელი ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გიორგი გიორგის ძე—გაზეთ საქართველოს რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. შურული გიორგი დურბიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ქიათურის შავი ქვის საბუკის თეფჯღამარის ამხანაგი.
9. გარდემანი გიორგი პავლეს ძე—ნაფიცო ვეპილი.
10. ივანიკი (ინგილო) რაფელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. კეკელიძე კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა.
12. ნივარაძე რევეზ ბეგი—მეურნე.
13. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

სია № 8

ხელ ყოველი ჩვენგანი მოიხდის თვის მოვლევას და მონაწილეობას მიიღებს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

მონაწილეობა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ჩვენს ხმას ამა თუ იმ სიას მივსცემთ. ერთის შეხედვით ეს ვითომდა უბრალო საქმე არის, მაგრამ ღრმად თუ ჩაუვირდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი დავიერება, დიდი პოლიტიკური სიმშრე და პასუხისმგებელი მოვალეობის აღსრულება გვმართებს, სანამ ამა თუ იმ ნუმერს ჩაუშვებდით საარჩევნო ყუთში.

სიები ერთობ ბევრია და რომელ სიას უნდა მიანიჭოს უპირატესობა ქართველებს კაცმა არ უნდა, რომ ქართველი კაცი, იქნება იგი გლეხი, აზნაური, ვაჭარი, მეწა თუ სხვა რომელიმე შრომისა

ფისისა ან წოდებისა, ნება, ფიქრი და გრძობა იმ სიაზე უნდა შეჩერდეს, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მის აწინდელ მდგომარეობას, მის წარსულს სიდადს, მის მამაძალ ბედნიერებას, მის უფლოდ განაწამებ სამშობლოს მის ქართველობას.

ყველა სიები ბევრს გვირდება და რომელზე უნდა. შევანეროთ ჩვენს ყურადღება?

არ აქ არის საჭირო დიდი დაფიქრება და ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სანანებლად არ უნდა გავვიხადოს საქმე.

ყველა სიები შეიძლება ორ კატეგორიად გავყოთ ერთი არის სოციალისტური სიები, ხოლო მეორე არა სოციალისტური.

სოციალისტური სიები არის სოციალ-დემოკრატებისა, სოციალ-ფედერალისტებისა და სოციალ-რევოლუციონერებისა.

ხოლო არა სოციალისტური სია არის ერთად ერთი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, № 8.

ეს სია № 8 ორი დიდნიშნელოვანი რაზით განსხვავდება სხვა სიათაგან. ამის დამაგვირ სხვა სიებს არა მოეოგებათ.

ეს არის: 1) ქართველი ერის ეროვნულ-თავისუფლებებისათვის სასტიკი ბრძოლა და 2) ქართველი ერის, ყოველი ქართველი კაცის საკუთრების დაცვა.

ყველა სოციალისტური პარტიების საბოლოო მიზანია ის არის, რომ მოისპოს ყველა საკუთრება, მამა პაპათაგან წააღებდნენ და ღალათით და გარდაცვლენ ეს საზოგადო დაწესებულებათ. ჩვენის აზრით ეს უნდა დასრულდეს ქართველ კაცს. ყველა საკუთრება რომ მოისპოს, რაც შედეგად მოაქვდა სოციალისტურ სიების განარჯვებას. მაშინ დაიღუპება პარტიის ამჟინსტი, თბილისის

და ერთი კეთილდღეობაც, ამა გულდასწრით გადაიკითხეთ, რა აზრისა არის ამის შესახებ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია:

„სოციალისტები მოითხოვენ, რომ ყველა საკუთრება გაუქმდეს და ყოველგვარი სიმდიდრე ქალაქის თუ სოფლის მამულებში, საზოგადო საკუთრებით გადაიქცეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამის წინააღმდეგია. ადამიანი შთელს თავის ძალიან მხოლოდ მამა მოსამარს შრომასა და საქმიანობას, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ ამის ნაყოფი მის უფლებასა და განკარგულებაში იქნება და მის ქონებრივსა თუ სულიერ მოთხოვნილებებს მოხმარდება, როდესაც დარწმუნებული იქნება აგრეთვე, რომ მის შრომისა და გარჯის ნაყოფი შეეძლებოდა მის შვილსა და შვილიშვილზე გადაეცა.“

ქალაქი საქართველოს მოსახლეობა უნდა

დამფუძნებელი კრების ქუთაისის საარჩევნო კომისია საყოველთაოდ

დებს, რომ:

- 1) მდგომარეობა 1917 წლის 9 ნოემბრიდან 14-ით დღის 9 საათიდან დაიწყო მისი 9 საათიანი, მოხდება ამომრჩეველთა საარჩევნო ბარათების (ტყე უბანში მოწოდების) დარიცხვა. კონვერტების დარიცხვა. ვერ არ მოხდება მათ მისაღებად ამომრჩეველებმა პირადად უნდა მიმართონ ჰქონდეს აღნიშნული ბარათები.
- ა) ცენტრალური საარჩევნო უბანში—ქალაქის გამგებლის სადგომში;
- ბ) წყალგამა საარჩევნო უბანში—თავდა-ა-შ. დეპუტატთა საკრებულოში.
- გ) სამთო საარჩევნო უბანში—რეალური სასწავლებლის სადგომში.
- 2) საარჩევნო ბარათების (ანუ ვინაობის მოწოდების) და კონვერტების მიღების დროს ამომრჩეველებმა უსათუოდ ხელი უნდა მოაწერონ რვეულებში.
- 3) დამფუძნებელი კრების არჩევნის დაწყება ცვირას, 12 ნოემბერს, დღის 9 საათზე და გაგრძელდება 14 ნოემბრამდე (სულ 3 დღეს).
- 4) საარჩევნო უბანების საზღვრები დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ისეთივე რჩება, როგორც იყო ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს. საარჩევნო კონვერტებს დარიცხვა შესრულებულ ქმნას მანამდე სანამ ცენტრალური საარჩევნო კომიტეტიდან არ მოუვით პასუხი შეკითხვებზე იმის შესახებ ვინაობის მოწოდებით. თუ არჩევნების დღეს, როგორც ამას მოითხოვს საარჩევნო დეპუტატები.

ქართული პრესა

„ბოლშევიკების გასაჭირი“.

გაზ. „საქართველო“ ეგება „ბოლშევიკების“ მმართველობას და სწერს:

„უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჯარში აღაგულაგ ნამდვილი შიმშილი დაიწყო. ამას ზედ ერთვის ახალი მთავრობის ნებისითი თუ უნებლოდ ბოიკოტი პოლიტიკური პარტიების მიერ: არა მარტო სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები, თვით მემარჯვენე ბოლშევიკებიც კი გაუბრძნო ლენინსა, ტროცკისა და ჯუღაშვილთან ტროცკისტულ მუშაობას.“

არბია განსაკუთრებულად მწვეველ განიცდის შიმშილისა და არცე დარევის გავრცელება. ამიტომ გასაკვირია არა არის, რომ სხვებზე ადრე არბიის წარმომადგენლები თაონზომენ გამოსავალი გზების ძიებას. მთავარმა საარბიო კომიტეტმა სავსებით მოწოდება გამოაქვეყნა. კომიტეტი ყველა დემოკრატიულ და სოციალისტურ ორგანიზაციებს წინადადება აძლევს, მის მიზანდონ ახალი მთავრობის შედგენა. კომიტეტის პროექტით მინისტრ-პრეზიდენტის პორტფელი სოციალისტ-რევოლუციონერების მეთაურს ე. ჩერნოვის უნდა ჩამოაგდეს. სამინისტრო მთლიანი უნდა იყოს და ყველა სოციალისტური ფრაქციების წარმომადგენლებს უნდა შეიცავდეს ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებამდე. მომავალი სამინისტროს პროგრამა უნდა შეიცავდეს და ყველა სოციალისტური პარტიისა და შეთანხმდეს ბრძოლა სამოქალაქო ომს!

დაუყრებელი ჩამოვარდეს დემოკრატიული ზევი.

ანხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და მებრძოლებო! ჩაჩვენთ თქვენი ხმები მისთვის!

„წინაში ბრუნდა“ სწერს.—„კომისართა საბჭო“ ყველაფერს წარმოადგენს. ის საბჭოს შტაბი, რომელიც კერძოების ებრძვის, ის ბოლშევიკების ცენტრალი კომიტეტი, მხოლოდ „კომისართა საბჭო“ მთავრობა არ არის.

კომისართა საბჭოს არავითარი შანსი არ აქვს, რომ სახელმწიფოებრივ ძალათ იქცეს.

გატინოს ბრძოლა არ გადასწყვეტს მთავრობის საკითხს. სულ ერთია, ვინც უნდა დაიბარებოდეს. ამ ბრძოლის შედეგად ჩვენ ნამდვილ ძალს ვერ ვიხილავთ.

„იხვევის“ სწერს: მემარცხენე ეცენტრის მენშევიკები—ინტერნაციონალიზმის ბუფუაზიული და ჰომიოგრა-სოციალისტური გახვობები დაზუსტა, ზოლო ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე კანონის გაბრუნებას მოახსენებს.

მაგრამ ლენინი და ტროცკი არა მარტო მენშევიკული ტერორისტები, არამედ დიქტატორის მიძებელი დამნაშავენიც არიან. შეიძლება ამ გარემოებას კიდევ უფრო გააძლიეროს შეთანხმება. როგორც უკანასკნელმა თვეებმა წითლად დამტკიცეს, შეთანხმების ქალაქებზე დაწერილი თეორეტიკული პროგრამა როდეს ყოფილა.

რუსეთი, როდესაც ომში ჩაირთა, საქართველოსთვის მას არ უკითხავს თანხმობა. ქართველი ჯარისკაცი ხმის ამოუღებლად გარეჯა ბრძოლის სხვადასხვა ასპარეზზე და მიიწვიტა.

რუსეთს არ აქვს საქართველოს თანხმობა ომში სამონაწილოთა, მანსადავმ არავის აქვს უფლება, რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ აღებული ვალი საქართველოს, შეაწეროს მაგრამ ამ ვალის ასაცილებლად საქობა დაუკონებელი აღდგენილ იქმნას ტრაქტატი 1783 წლისა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ახლებს.

ქართველმა წარმომადგენელმა რუსეთის მმართველობას უნდა მოითხოვოს საქართველოს ეკლესიის სიმღერის დამტკიცება და ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიის სამარადისო ხელუზღებლობა.

ჩვენმა წარმომადგენელმა უნდა მოითხოვოს მთლიანი საქართველო ისტორიულ სივრცით.

ქართველ ხალხს არჩეულმა უნდა დაეცეს ყველა საკუთრება, რადგან მასზე დამყარებული ქართველ მშრომელ ხალხის აწყო მდენიერება და კეთილდღეობა.

როგორც ჰგონათ მერე ვინ იკისრებს ყველა ზემო ჩამოთვალს? სოციალ-დემოკრატები? სოციალისტები გადაჭრით არ ემბრობიან 1783 წლის ტრაქტატს, ისინი არ თხოულობენ მთლიან საქართველოს მათი საბოლოო მიზანია სოციალიზმი, ყველა საკუთრების მშობობა.

სოციალისტ-დემოკრატებს არცერთ მომენტში არ უღაბარებიათ ქართველი ერის სახელით და ვერც დღეს ილაპარაკებენ, ეს მარტო უადრესათ კლასობრივ ბარტია და ისინი აწყოთ ვერ იცავენ ერთფულ ინტერესს. არცერთი ხმა მათ!

სოციალისტ-დემოკრატების დაიკავენ ქართველი ხალხის ინტერესს? არავინ მოსტყუვებს. ასეთი უნაიადაც და სხვის კულში მიმდევარი პარტია, როგორც სოციალისტ-დემოკრატების პარტია იმეითია ქვეყანაზე.

ესენი სოციალიზმს და გროუნულ კითხვას ერთმანეთში უხვებენ. ფედერალისტები სპობენ ყველა საკუთრებას მიწაზე, ისინი ურყაყვენ 1783 წ. ტრაქტატს, რომლის გარეშე ქართველი ერის ბუნებრივი წარმადებელიცაა.

ფედერალისტთა პარტიას გარკვეული ქართულ ცხოვრებაში არაფერი შემოუტანია.

1905 წ. ეს პარტია ანარქისტებს მისდევდა კულში და მას აღდებდა, დღეს „ბოლშევიკებს“ ურყავს ტაშს, იმ ბოლშევიკებს, რომელი ბოლშევიკებს ახლავს ამარსებენ სოციალიზმს და სპობენ კერძო საკუთრებას.

არა ისინი ვერავის ინტერესს ვერ დაიკავენ. არცერთი ხმა გა-ანგულ არ აქვს, რომელიც თავის სიტყვა არ პატივს ეის უნდა მისცე ქართველი ხმა? ერთადერთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც არ არის განსაკუთრებულად კლასობრივი პარტია, რომელიც მოითხოვს საქართველოს გაერთიანებას, ყველა საკუთრების დაცვას და ურყავს, სოციალიზმს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს 1783 წლის ტრაქტატის დემოკრატიულ საფუძვლებზე აღდგენას. რომელიც საქართველოს განათვისულებებს დიდ ვალისგან და მიაჩნებს ისეთ უფლებებს, რომელიც მას სჭირია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავიდან მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც ადგილობრივი და უკან გადსაქრის ყველა გადასაწყვეტი კითხვას.

მთლიან საქართველოში ყველა სხვა ეროვნულ უმცირესობას ანიჭებს ეროვნულ კულტურულ ავტონომიას.

ჩვენს ქმნს აქვართ, ისრელთ და სხვათ სრულ სარწმუნოებრივ უფლებებებს...

ქართველი ხალხის ხმა მკვეთი ამ ბარტის.

არჩიეთ სიის 8-ს კარდიატები.

მოითხოვე 1783 წლის ტრაქტატის აღდგენა...

გაუმთავრობს თავისუფლ საქართველოს.

არ—დი.

თეოდოსია მასკელის ასულის იოსელიანის სულის მოსახსენებელი.

ნეკროლოს, პოლიკარბე, ალექსანდრე, მარიამ და ისინეთ კონსტანტინეს ძენი და ასულნი იოსელიანები ამითა აღუწყებენ ნათესავთა ნაყნობთ და მეგობართ, რომ დღეს შაბათს 11 ნოემბერს დღის 10 საათზე მთავარ ანგლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წარუა და წირვის შემდეგ პანაშვილი მათი დაუფიწყარი დედის

სოციალ-დემოკრატებიც, სოციალ-რევოლუციონერებიც და სოციალ-ფედერალისტებიც მხოლოდ იმით განსხვავდებიან ჩვენგან, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ჩვენ ჩვენ ვიცავთ 1) კერძო საკუთრებას და 2) ერის ფართო უფლებებს. რაც შეეხება პროგრამათა დანარჩენ დებულებებს, აქ სრული ერთნაირობა ყველა პარტიებში, რაშიც თქვენ უკვე დარწმუნდით, როდესაც ჩვენი პროგრამიდან ამოღებული მუხლები გადაიკითხეთ. ამასთანვე ისიც განსაზღვრეთ მამულიწმინდა, რომ სია № 8 მოითხოვს ამ სამინილო ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და სავითამოარსო თანხმობის დამყარებას.

ამიტომ მოქალაქეო! თქვენს მოვალეობას ერისა და სამშობლოს წინაშე მაშინ მოიხდით პირნაოლად, როდესაც საარჩევნო კონვერტში მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია № 8 ჩასდებთ და ჩაუშვებთ საარჩევნო ყუთში.

გაუმთავრობს თავისუფალ საქართველოს! გაუმთავრობს ყველა საკუთრებას და ამათ დამცველ საქარ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის სიას № 8-ს.

სხობი.

ქართველ ხალხს.

(არჩევნებისათვის).

ხელისღმღი დღე ერთგვარი მაგრამ დიდი გამოცდა იქნება ქართველი ხალხისთვის.

ხალ ქართველი ხალხი დამტკიცებს, თუ სითყვენ მიისწრაფის მისი სულისკვეთება, როგორც ესმის მას მომენტი და ის თუ ცხოვრების რამდენათ რეალისტია იგი.

რუსეთის დამფუძნებელი კრება არასოდეს არ გაეძლევა ჩვენ იმდეს, მაგრამ რახან ამ კრებაზე წავა ქართველი ხალხის წარმომადგენელი აუცილებელ მოვალეობათა და საქობრებათ ვსთვით, რომ ქართველი ერის ეროვნული მიზნები მოქალაქობრივი და იურიდიული უფლებები შედგრათ დაიკავენ, და ისე მოიქცენ, როგორც ეს შეეფერება დროს, ტაქტიკის და ქართულ ცხოვრებას.

მოითხოვონ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული თვითმართებლობა 1783 წ. ხელშეკრულების მიხედვით. მოითხოვონ მიწის კითხვის საქართველოშივე გადაქა ქართველი ხალხის სურვილისამებრ და წარმომადგენლობისგან.

მოითხოვონ ქართველ მხედრობის თავის მიწა-წყალზე დამტკიცება და მისი საქართველოს საზღვრებშივე სასახური.

ურაყებს ვიდი ვალი, რომელიც ომის შემდეგ გადასახდათ დაწვეება ჩვენს ღარბ ხალხს.

როგორც ამას წინადაც ვსწერდით, რუსეთს ომის წარმოებისგან დავიდა 70 მილიონი მან. ვარი.

ომის შეწყვეტის შემდეგ აქვდა თითოთეულ ქართველს მარტო სარგებელი (სულს) წლიურათ გადახდება 50 მან. თუ ურყავთ 10 ხელი, მათ ხაზინაში უნდა შეიტანონ ხელისი მანეთი.

ჩვენ უფლებად გვაქვს მოვითხოვოთ ამ ვიდიდან განთავისუფლება. საქართველო რუსეთს შეუტავშირდა როგორც თანასწორი უფლებიანი საკუთარ მთავრობიანი ერთი. რუსეთის ვერაგმა ტაბტო არ დინდა და პაწი საქართველო და მისი უფლებები ფაქტუმ ვასთუთა, მაგრამ დღეს სხე-ნეკროლო ვერავალი დასხობილია და ყველა მისგან ფაქტუმ ვასთუთა მათ თვსუფად ცხოვრებას იწყებს.

ქართველი ერთ 1783 წლის შესანიშნავ ტრაქტატის ძალით არის რუსეთის მოკუშირე და არა მისი ქვეყნადმი, როგორც დღე გვიან იმპერატორმა პავლემ გამოცხადდა.

აქვდა ის ვამომდინარეობს რომ საქართველო ყველა სწორ უფლებიანი ერთი.

ახლა განაწილოთ თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ ვალის თავიდან აცილება.

